საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-1300

30/08/2021

ქ. თბილისი

„ამბროლაურის მუნიციპალიტეტში, შპს „იბერჰესის“ მიერ მდ. რიცეულაზე 4.45 მგვტ სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის (სადმელი ჰესი) მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ” საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N 2-800 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

„ამბროლაურის მუნიციპალიტეტში, შპს „იბერჰესის“ მიერ მდ. რიცეულაზე 4.45 მგვტ სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის (სადმელი ჰესი) მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ” საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N 2-800 ბრძანებით გაიცა სკოპინგის დასკვნა №84 (16.08.2019)

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, თუ საქმიანობის განმახორციელებელი სკოპინგის დასკვნის დამტკიცებიდან 2 წლის ვადაში ვერ მიიღებს გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას ამ კოდექსით გათვალისწინებული პროცედურების შესაბამისად, სკოპინგის დასკვნის დამტკიცების შესახებ მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ძალადაკარგულად ცხადდება.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის მე-7 ნაწილის და „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ამბროლაურის მუნიციპალიტეტში, შპს „იბერჰესის“ მიერ მდ. რიცეულაზე 4.45 მგვტ სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის (სადმელი, ჰესი) მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N 2-800 ბრძანება;
2. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „იბერჰესს“;
3. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „იბერჰესის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
4. ბრძანების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ამბროლაურის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-

12 კმ №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი